

ჩიბუხი — ყალიონი

მართალია, ვარაუდობენ, რომ ამერიკის აღმოჩენამდეც იცნობდნენ თამბაქოს აზიის ხალხები, მათ შორის სპარსელები და, მაშასადამე, შესაძლებელია, საქართველოსათვისაც არ იყო იგი უცხო, მაგრამ თამბაქოსთან და მის მოხმარებასთან დაკავშირებული სიტყვები **ჩიბუხი** და **ყალიონი** მაინც შედარებით ახალი უნდა იყოს ქართულში.

ამ ორი სიტყვისაგან ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში გვხვდება მხოლოდ **ჩიბუხი** ამგვარი განმარტება-თარგმანით: „თამბაქოს მოსაწევი ხის სოლინარი, трубка, чубук“. განმარტებაში ჩანს რუსული **чубук**-სიტყვის მნიშვნელობის გავლენა: რუსულში **чубук** პირველ ყოვლისა ჩიბუხის ტარია, „სოლინარია“, რაც კარგადაა ასახული, მაგალითად, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის 17-ტომიან ლექსიკონში: „полый стержень курительной трубки, через который курящий вытягивает дым табака“; ლექსიკონში საილუსტრაციოდ მოყვანილია ნ. უსპენსკის ციტატა: „фельдшер снял трубку, продул чубук“<sup>1</sup> (შდრ. გერმანული შესატყვისი რუსული **чубук**-ისა: Pfeifengerohr). შევნიშნავთ, რომ ნიკო ჩუბინაშვილს **ჩიბუხ**-სიტყვისათვის **трубка**-ც მიუწერია, ე. ი. მისი სხვა (ქართულისათვის ჩვეულებრივი) მნიშვნელობაც არაა უგულებელყოფილი.

დავით ჩუბინაშვილმა **ჩიბუხის** განმარტება-თარგმანი ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონიდან გადმოიღო; მაგრამ აქვე ვხვდებით **ყალიონ**-სიტყვასაც. ამ სიტყვის განმარტებისას, ჩანს, დ. ჩუბინაშვილიც რუსული ლექსიკოგრაფიული წყაროებით სარგებლობდა, ამიტომ ასეთ დახასიათებას იძლევა: „ყალიონი თამბაქოს მოსაწევი წყლიანი, кальян“; შდრ. განმარტება **кальян**-ისა იმავე რუსულ ლექსიკონში: „у восточных народов — курительный прибор, в котором табачный дым охлаждается, проходя через воду“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Словарь современного русского языка, XVII, 1965.

<sup>2</sup> იქვე, ტ. V, 1956.

რაც შეეხება ქართულ ენობრივ სინამდვილეს, აქ არც ჩიბუხი იხმარებოდა „ჩიბუხის ტარის“ მნიშვნელობით და არც ყალიონი — „წყლიანი ჩიბუხის“ მნიშვნელობით.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (ქეგლ) სადოკუმენტაციო ფონდში ორივე ეს სიტყვა გვხვდება ჩვეულებრივი („ჩიბუხის“) მნიშვნელობით. მხოლოდ კ. გამსახურდიასა და ს. შანშიაშვილს გამოუყენებიათ ყალიონის განსხვავებული გაგება: „ხრჩოლავს ირანულ ყალიონში გაღვივებული თრიაქი“ (კ. გამსახურდია), „სპარსულ ყალიონს, ნარგილეს ეწეოდა“ (ს. შანშიაშვილი). დამახასიათებელია, რომ ორსავე შემთხვევაში „სპარსულობაზე“ („ირანულობაზე“) მითითებით არის დაზუსტებული სიტყვის მნიშვნელობა, ჩიბუხი ნარგილესთან არის გათანაბრებული.

როგორც ყალიონი, ისე ჩიბუხი (ჩვეულებრივი მნიშვნელობით) იხმარებოდა აღმოსავლეთ საქართველოშიც და დასავლეთ საქართველოშიც. ამას ადასტურებს იმავე სადოკუმენტაციო ფონდის ჩვენება:

ილია: „ზოგმა ჩიბუხის კეთება დაიწყო, ზოგმა პურის ჭამა“ („მგზავრის წერილები“) — „პირაღმა გამოტილიყო ტახტზედ და ყალიონს ეწეოდა“ („ოთარაანთ ქვრივი“).

ვაჟა: „იგი დერეფანში იდგა, პირში ჩიბუხი ეჭირა“ („მოგონება“) — „რაკი ყალიონს გამართავს, რამდენიც გნებავთ ელაპარაკე და ალაპარაკე“ („გასამართლებული ჩიბუხი“).

ა. ყაზბეგი: „გელა ჩიბუხს წყნარად უკიდებდა“ („მოძღვარი“) — „ანზორამ მოუყიდა ყალიონს“ („ედისო“).

ვ. ბარნოვი: „წამობერტყა ჩიბუხი გამხმარ ხელისგულზე“ — „ყალიონს აბოლებდა ჩაფიქრებული“.

რ. ერისთავი: „სოლომანამ ჩიბუხი აავსო თამბაქოთი“ — „ჩემთვის ყალიონს ვსვამ“.

დ. მაჩხანელი: „რა იქნება, რომ ერთხელ ე ჩიბუხი და კრიანასული იქით გადასდო!“ — „აყროლებულის ყალიონის ბოლათ გულ-მკერდს იშხამავენ“.

გ. ლეონიძე: „გია, უფროსი ძიაა, მეჭურჭლე, ჩიბუხიანი“ — „ბალისტარა ყალიონი სულ უჭრობლად პირში სჩრია“.

მ. ჭავჭავაძე: „ნაბიჭვარს ჩიბუხის ტარი დაუშინა“ — „ხელზე ემსახურებოდა, ყალიონს აწვდიდა“.

გ. წერეთელი: „თავზე თეთრი ყაბალახი ეხურა და ყალიონს (ჩიბუხს) სწევდა“ — „წვრილტარინი ჩიბუხი თუთუნისან ქისაში ედვა“.

დ. კლდიაშვილი: „ზამთარში იჯდა ყალიონით პალატის ბუხრის პირას“ — „სახლის აივანზე გამოშლილის ჩოხით, ჩიბუხით ხელში მოსიარულე“.

ე. ნინოშვილი: „გრძელ-ღერინის ყალიონით სწევდა თუთუნს“ — „მერე ისევე დინჯად „ღარეკა“ ჩიბუხი“.

ს. კლდიაშვილი: „პირში ყალიონი მოუშორებლად ეჩარა“ — „უღარდე-ლად სწევდა ჩიბუხს“.

გ. აბაშიძე: „მოხუცი ჩამქრალ ყალიონს ფერთხავს“ — „სრუტავს ჩიბუხის კვამლს მასპინძელი“.

ა. ლომიძე: „მოხუცი... ყალიონს აბოლებდა“ — „მოაჯირს ჩიბუხი ჩამოჰკრა, ნიაგმა ფერფლი მკერდზე შეაყარა“.

იმავე ავტორებს ჩიბუხი და ყალიონი ზოგჯერ ერთ ფრაზაშიც უხმარიათ გაურჩევლად:

„არჯალამ და პაპაჩემმა ჩიბუხები გააჩაღეს, იმათი ყალიონების ბოლი ცეცხლის ბოლსა ჩრდილავდა“ (ვაჟა).

„ტახტის ბოლოს პატარა ჩიბუხი იდგა ყალიონით ხელში“

(გ. ბარნოვი).

ჩიბუხისა და ყალიონის ეს გაურჩეველი ხმარება დღემდე შემორჩა სალიტერატურო ქართულს. ალ. გამყრელიძის თარგმანში, რომელიც „ხომლის“ მეორე წიგნში დაიბეჭდა 1969 წელს, ვკითხულობთ:

„ეშერსტმა სათუთუნე ქისა გაუწოდა — „გაიტენეთ ჩიბუხი!“ მოხუცმა კვლავ ქუდზე მიიღო ხელი და დინჯად აივსო თიხის ძველი ყალიონი“ (გვ. 253); შემდეგ გვერდზე მოხუცის ამ ყალიონის შესახებ ნათქვამია: „ბერიკაცმა ჩიბუხი პირიდან გამოიღო“.

რაც შეეხება ყალიონის განსხვავებულ მნიშვნელობას („წყლიანი ჩიბუხი“), დღევანდელ სალიტერატურო ქართულში გვხვდება ცდამისი დამკვიდრებისა განსხვავებული დაწერილობით („ყალიანი“):

„მუსტაფა ჩვეულებისამებრ ჯერ გაწითლდა, მერე გამავდა, ბოლოს ხორხის სიღრმიდან ისეთი ბუყბუყა ხმა ამოუშვა, გეგონებოდათ, ყალიანი ში წყალი ადის და ჩამოდისო“ (ჯამალ-ზადე, „შემწვარი ბატი“, თარგმანი მზია ივანიშვილისა. მთარგმნელი შენიშნავს: „ყალიანი აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა“ არის-ო).

ზოგიერთი მწერლის სიტყვახმარებაში ჩიბუხისა და ყალიონის ურთიერთობისას მაინც იგრძნობა ჩიბუხის ერთგვარი უპირატესობა.

გ. წერეთელი ყალიონს იქვე განმარტავს ჩიბუხ-სიტყვით: „თავზე თეთრი ყაბალახი ეხურა და ყალიონს (ჩიბუხს) სწევდა“. ვაჟასაც ყალიონი ერთგან ბრჭყალებში მოუთავსებია და იქვე ჩიბუხი მიუწერია: „ყალიონს“ ჩიბუხს ჰსრუტავს“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდის ჩვენებაც საინტერესოა ამ მხრივ: აქ ჩიბუხის უპირატესი ხმარება დასტურდება.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მიმოვიხილოთ ჩიბუხისა და

ყალიონის ხმარება ვაჟის მიერ<sup>3</sup>. **ყალიონიცა** და **ჩიბუხიც** გვხვდება როგორც ლექსებში, ისე პროზაში: „ყალიონი — ექვს-ექვსჯერ, ჩიბუხი — ცამეტ-ცამეტჯერ, ხოლო თარგმანში — ოცდაერთჯერ. ერთ მოთხრობაში, „გასამართლებულ ჩიბუხში“, ავტორი თითქოს ცდილობს **ყალიონის** ხმარება პერსონაჟის მეტყველებით შემოფარგლოს: „მიდის დილის გარიჟრაჟზე ყანაში სამკალად. შესჩერებია თავთავებს, ჰხედავს — ფხაზე ნამი პატარძლის ცრემლივით დაჰკიდებია, ესეც კაი საბუთია შეისვენოს, ჩიბუხი გააკეთოს: „მოდი, ბარემ ერთს ყალიონს გავაკეთებ, მანამ ყანაც შეიბერტყება, შეშრება, მჭელეუტრს ნამი აღარ შეჰყვება და მეც კარგა, გულიანად შევუტევ“. სხვა მაგალითი: „ღვთისუნელმა ტყეში, ფიხის ჭრაში ჩიბუხი დაჰკარგა, სადღაც ჩაჰვარდნოდა ის ვერანა. ეძება ღვთისუნელმა ბევრი, მაგრამ ვერას გაზდა. — „ბიჭო დავითო, გოგო მარიამო, აბა ერთი, მამაშვილობას, მიიარ-მოიარეთ, იქნება მომიხელოთ ის ოხერი ყალიონი, გამიჭირდა, ვკვდები უყალიონობით“.

მაგრამ **ჩიბუხისა** და **ყალიონის** ხმარების სფეროთა ამგვარი გარჩევა ბოლომდის არ არის გატარებული: **ჩიბუხი** ზოგჯერ პერსონაჟის მეტყველებაშიც გვხვდება („რა დროს ჩიბუხია?“ „ჩიბუხი არსად გაგქცევა“, „ჩიბუხი რომ მოგიხელო, რამდენ გზას მოიტან ფიხს კიდევ?“; „წერა-მწერალს შენ და შენი ჩიბუხის თვალებს საგდებლად მოუცლია!“), ხოლო **ყალიონი** ავტორისეულშიც არის გარჩენილი („რაკი ყალიონს გაჰმართავს...“; „პირით ყალიონის სირას აწვალებდა“; „ყალიონს ეხლა ხელში ატრიალებდა“; „ღვთისუნელმა დრო იხელთა, ყალიონში თამბაქო ჩაყარა, ყალიონს აბედი დაადო“).

რა შეიძლება დავასკვნათ **ჩიბუხ-** და **ყალიონ-** სიტყვების ურთიერთობის შესახებ?

უეჭველია, რომ ორივეს ერთგვარი საგნობრივი მიმართება, ერთგვარი მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, არა გვაქვს საფუძველი იმისათვის, რომ რომელიმე მათგანი მივიჩნიოთ დიალექტურად შემოფარგლულ სიტყვად: **ყალიონი** უხმარია ქართლელ მწერალს, კახელს, მოხევეს, ფშაველს, რაჭველს, იმერელს, გურულს... ასევე, **ჩიბუხი** იმავე ავტორების სიტყვახმარებაში გვხვდება. მათი საყოველთაო გავრცელება ფაქტია.

<sup>3</sup> ამგვარი მიმოხილვის საშუალება ამჟამად გვაქვს, რაკი უკვე არსებობს ვაჟას სიმფონია, შედგენილი და დაცული თბილისის უნივერსიტეტში, ვაჟა-ფშაველას კაბინეტში.

მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ ჩიბუხი უფრო ხშირად იხმარება, ვინემ ყალიონი. არც ის გარემოებაა უგულვებელსაყოფი, რომ ჩვენი კლასიკოსების სიტყვახმარებაში ჩიბუხს ზოგჯერ უპირატესობა ენიჭება ყალიონთან შედარებით.

ამიტომ შესაძლებელია, რომ ჩიბუხი დავახასიათოთ როგორც საყოველთაო-სალიტერატურო სიტყვა, ყალიონი კი მის საუბრულ ვარიანტად მივიჩნიოთ.